მწყემსი

მწყემსმან კეთილმან სული
თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის
იოან. 10—11.

№ 11 1883—1908 წ. 15 ივნისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი.

სალიტერატურო განყოფილება: იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების უკანასკნელი კრების შესახებ, დამსწრესი.—ჩვენ ობლები არა ვართ.—ერნესტ რენანი და მისი წიგნი „ცხოვრება იესოსი“.—ნამდვილი მართალი, მართლის მთქმელისა.—ბიბლიოგრაფია, მახარობელისა.—რუსეთის პრესსა ექსარხოსის მოკვლის შესახებ.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანოგბრივ საწყმუნოებასა და **კეთილ-ზნეობაზე**:—სიტყვა, თქმული 2 მარტს ყვირილის ეკკლესიაში, დეკ. დ. ღამბაშიძის მიერ. რედაქციის პასუხი.—შეწირულება, მღვ. დ. ლოსაბერიძისა.

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების უკანასკნელი კრების შესახებ.

როგორც იციან მკითხველებმა ამა თვის ოთხ რიცვს იყო დანიღნული კრება სამღვდელოების დეპუტატებისა. ოთხს ივნისს შეკრებილმა დეპუტატებმა თავსმჯდომარედ აღირჩიეს დეპუტატი მღვ. ი. ფანცხავა. მეორე დღეს მოვიდნენ თითქმის ყველა დეპუტატები, მაგრამ საქმის მსჯელობას ვერ შეუდგნენ, რადგან მღვდელმთავარი ტფილისში ბრძანდებოდა. ზოგიერთი დეპუტატები ამტკიცებდნენ, სანამ თავსმჯდომარე არ იქნება დამტკიცებული მღვდელთ-მთავრისაგან კრება მსჯელობას ვერ შეუდგებიო. ბევრი უმტკიცა დეპუტატებს დეკ. ღამბაშიძემ, რომ კრებისგან უმეტესი ხმით აღრჩეული თავსმჯდომარე კანონიერად ითვლება და საჭირო არ არის მღვდელთ-მთავრისაგან სიტყვის დაწერა: „ვამტკიცებ“-ო, საჭიროა მხოლოდ თავსმჯდომარის აღრჩევას სიგელი აჩვენონ და მღვდელთ-მთავარიც უნდა აწერდეს: „ვნახე“ და არა „ვამტკიცებ“-ო, მაგრამ ვერ დააჯერა დეპუტატები: ხუთს დილით შეკრებილმა დეპუტატებმა მატარებლის გამოსვლადმდე მოისურვეს, რომ კერძოდ მოელაპარაკოთ ყველა იმ კითხვებზე, რომლებზედაც უნდა ჰქონებოდათ მსჯელობა. სხვათა შორის დეკ. დ. ღამბაშიძემ მოახსენა კრებას შემდეგი:

ძლიერ სასიამოვნო არის, რომ მწყემთ-მთავარმა დაწვლილებით გვაცნობა სამღვდელოებას ყველა ის კითხვები, რომლებზედაც უნდა მსჯელობა ვიჰონიოთ ამ კრებაზე. სამღვდელოებას თავიანთ საბლაჩინო კრებებზე, რასაკვირველია, უნდა შეემუშავებია ადგილობრივ ყველას კითხვები და თავიანთი აზრი და შეხედულება ამ კითხვების დაკმაყოფილების შესახებ გარდაეცათ არჩეული დეპუტატებისათვის, მაგრამ არა გვჯერა, რომ ეს ასე მომხდარიყოს სადმე. კითხვები პირდაპირ არის დაყენებული. ითხოვენ ფულს და არა ცოტას. აქვს თუ არა სამღვდელოებას ამას არავინ კითხულობს. მე კარდად მახსოვს, რომ სამღვდელოების კრებამ დაწვლილებით აწერა თავისი მდგომარეობა და ის უაჯაობა, რომელიც მას ემართება სხვა და სხვა ხარჯების დაკისრებით, რომელ ხარჯთაგან ყველგან მთელს იმპერიაში სამღვდელოება თავისუფალაა. ორ-სამ გზის ითხოვა სამღვდელოების კრებამ ამ საგნის შესახებ განთავისუფლება ამ უაჯაო ხარჯებისაგან, მაგრამ არავინ პასუხი არ გასცა. მღვდელთ-მთავრებმა გამოგვიცხადეს, რომ წარადგინეს ჩვენი თხოვნა, მაგრამ პასუხი არ გაგცესო. საჭიროა გავიგოთ ეს ჩვენი თხოვნა-მუდარება მიდის სინოდამდის თუ არა? არ მჯერა, რომ სინოდმა ჩვენს თხოვნაზე არაფერი არა სთქ-

ვა. თუ არ აღასრულებს ჩვენს თხოვნას უარს მაინც გვეტყვის. როგორც მესმის სამღვდელოების კრებას არავითარი ფულის გარდახდის თავი არა აქვს, მაგრამ ამ უარის თქმასაც დასაბუთება უნდა, თორემ საცინად ასაგდები გავხდებით ყველასაგან. წინეთაც გამიცხადებია ის რასაც ეხლა მოგახსენებთ, მაგრამ სამღვდელოების კრებამ ყურადღება არ მიაქცია, დღეს, იმედია, სამღვდელოებამ ძალაუნებურად უნდა მიაქციოს ყურადღება, რადგან ფულებს თხოვენ და მას ეს ფულები არა აქვს.„

„აი საქმე რაშია. მთელს იმპერიაში ყველგან ეპისკოპოსების, მათი სასახლეების, კათედრის საკრებულო ტაძრების, კანცელარიების, კონსისტორიების და ნორმალური სემინარიის და სასწავლებლების კლასების შესანახავი ხარჯი სახელმწიფო ხაზინის ფულებით იფარება. ასეა ყველგან მთელს იმპერიაში. მაგრამ მხოლოდ ჩვენი საცოდავი ეპარქიებია გამოკლებულნი. ყველა ამ ზემო ჩამოთვლილ ხარჯების დასაფარავად ჩვენი ღატაკი ეკკლესიების და მონასტრების მამულების შემოსულ იჯარის ფულებიდან ხარჯვენ და ჰგონიათ, რომ ხაზინის ფულებს გვაძლევენ...

უნდა შეიტყოს კრებამ მისმა თხოვნებმა მიაღწიეს თუ არა სინოდამდე. თუ მიაღწიეს რა ბრძანა სინოდმა? თუ სინოდმა არ მიაქცია ყურადღება სამღვდელოებამ უნდა სთხოვოს თვით ხელმწიფეს. წინაადმდეგ შემთხვევაში სამღვდელოებას არ შეუძლია რამე შემწეობა აღმოუჩინოს ვისმეს და მოთხოვნილი ხარჯები დაფაროს. „დეკ. ღამბაშიძემ სხვა ბევრი მოსაზრებაც მოიყვანა ამ კითხვის შესახებ.

მთელმა კრებამ მოიწონა წინადადება დეკ. დ. ღამბაშიძისა და თავს მჯდომარეს წინადადება მიეცა, რომ ჟურნალი შეედგინა ამ კითხვის შესახებ როცა კრება გაიხსნებოდა. შუადღის დროს მობრძანდა ყ-დ სამღვდელოც. წავიდა თავსმჯდომარე მღვდელთ-მთავართან, რომელსაც კრებამ დაავალა, რომ ეთხოვა ყ-დ სამღვდელოსთვის კრება გადადებულიყო, რადგან სამღვდელოებას არავითარი ცნობები არა აქვს შეკრებილი კითხვების გადასაწყვეტად.

თავსმჯდომარე დაბრუნდა ყ-დ სამღვდელოსაგან, მაგრამ კრების გადადებაზე თანხმობა ვერ მოიტანა მათი მეუფებისაგან. დეპუტატებმადეპუტაცია გაგზავნა და განმეორებით სთხოვა მათ მეუფებას, რომ კრება გადადებულიყო შემდეგი დროისათვის. მათი მეუფება დათანხმდა მოკლე დროით გადადებულიყო კრება, მაგრამ მიზეზი კრების გადადებისა ყოფილიყო მოყვანილი მართლა საპატივო და პატივსადები.

მათი მეუფებაც მობრძანდა კრებაზე და მგრძნობიარე სიტყვით მიმართა კრებას. ამ სიტყვაში დაასურათა სამწუხარო მდგომარეობა ჩვენი სასწავლებლებისა და განსაკუთრებითი ყურაოღება მიაქცია სამღვდელოების კრებისა სანთლის საქმის წარმოებაზე. მისცა მთელ კრებას დარიგება თუ როგორი წესით უნდა მსჯელობდენ სხდომებზე და როგორ მაგალითს აძლევდენ გარეშე მაყურებელთა თავის მოქმედებით და მსჯელობით. „დარწმუნებულნი იყავით, მამანო დეპუტატნო, ბრძანა მათმა მეუფებამ, რომ ჩემი გულითადი მაცადინობა და სურვილი მხოლოდ ის იქნება, რომ სარგებლობა მოუტანო საზოგადო საქმეს და თქვენსას განსაკუთრებით. თუ მართლა კრების გადადება გამოწვეულია საპატიო მიზეზისა გამო მე თანახმა ვარ, მაგრამ მხოლოდ ერთი თვის შემდეგ უთუოდ ისევ უნდა შეიკრიბოთ და მსჯელობა იქონიოთ ყველა იმ კითხვებზე, რომელიც მე გამოგიცხადეთ ცირკულიარული მოწერილობით.

მცირე კამათის შემდეგ სამღვდელოებამ დაადგინა: დაინიშნოს ხუთი კომისია; ერთმა კომისიამ შეკრიბოს ყველა საჭირო ცნობები სასულიერო სასწავლებლის დღევანდელს მის მდგომარეობაზე; მეორემ შეკრიბოს ესეთივე ცნობები ქალების სასწავლებელზე; მესამე კომისიას დაევალოს ცნობების შეკრება დღევანდელ სამღვდელო და საპრიჩეტნიკო კანდიდატების აღრჩევაზე მრევლთაგან და სხვა სამღვდელოების საჭიროებაზე; მეოთხე კომისიას დაევალოს ცნობების შეკრება სანთლის წარმოების და საეკკლესიო ნივთების საწყობის მდგომარეობაზე და მეხუთე კომისიას დაევალოს შეკრება ცნობათა თუ რა შედეგი მოყვა სამღვდელოების თოვნას ჩვენი საეკკლესიო ხაზინის ფულების განთავისუფლების შესახებ, ყველა კომისიებისათვის დაასახელეს სამღვდელო პირები და ამის შემდეგ კრება გადიდვა მეორე დღისათვის დამზადებულ ჟურნალზე ხელსი მოსაწერად.

გაგრძელება ექნება

დამსწრე.

ჩვენ ობლები არა ვართ.

(თარგმანი)

ამ წმიდა დღეებში მე უნებლიეთ მაგონდება სიტყვები აღდგომილის მაცხოვრისა ჩვენისა: „არა დაგიტევნე თქვენ ობლად“ (იოან. 14,18). ძმაო— ქრისტიანო, ერთ წამს მაინც ჩაუფიქრდი შენც ამ საუცხოვო სიტყვებს, რა მრავალ-მნიშვნელოვანია იგინი, რა ტკბილ-სასიამოვნოა, რა მანუგეშებელია ჩვენთვის.

ობოლი... ეს სიტყვა ჩვენთვის ნაცნობია და ადვილად გასაგებია. ობოლს უძახიან ქვეყნად ისეთს ბავშვს, რომლებსაც მშობლები დაეხოცა, აღარა ჰყავს მამა, ან დედა. ვის გულში არ აღძრავს ეს სიტყვა მძიმე ფიქრებს და გრძნობებს? ვის არ დაენანება ობოლი, ვინ არ მიუალერსებს მას? რომელი შვილების-მოყვარული მამა თავის სიკვდილის წინ არა სცდილობს როგორმე ანუგეშოს თავის მწუხარე შვილები? რომელი მამა ამ დროს არ ლოცავს თავის შვილებს და კეთილი არ უნდა მათთვის? რომელი მამა არ აღუთქვამს თავის შვილებს, რომ არ გასწყვეტავს მათთან კავშირს სიკვდილის შემდეგაც?

ჩვენ ვართ შვილები ზეციერის მამისა. ქრისტე მაცხოვრის ამაღლების შემდეგ ზეცას, ჩვენ თითქოს დავრჩით ამ ქვეყნად უმამოდ, დავრჩით ობლებად. მაგრამ როგორი გულითადი მზრუნველია და მოსიყვარულეა ჩვენი ზეციერი მამა. როგორც ქვეყნიური მამა, ისიც გვაძლევს ჩვენ ნუგეშს. და რანაირ ნუგეშს? ის გვეუბნება ჩვენ: აი მე უნდა ავმაღლდე ზეცად, მაგრამ თქვენ ამაზე ნუ შესწუხდებით, „არა დაგიტევნე თქვენ ობლად.“ ამნაირად, ქრისტე ამაღლდა ზეცას, დასტოვა დედა-მიწა, დაგვტოვა ჩვენ, მაგრამ ჩვენ არ დავრჩით „ობლებად“. რა დიდი ბედნიერებაა ეს, რა ნეტარებაა, რომ არასოდეს მამა არ დაჰკარგო, არასოდეს „ობოლი“ არ იყვე. ქვეყანამ თავის ცხოვრებაში ამის მსგავსი არა იცის-რა. ჩვენ არას-ოდეს არ გვინახავს და ვერც ვნახავთ, რომ ვინმე და როდისმე ობლად არ დარჩენილიყვეს,

მაშ გიხაროდეთ და მხიარულ იყვენით ქრისტე მაცხოვრის ამ სიტყვების მოსმენაზე: „არა დაგიტევნე თქვენ ობლად.“ მიულოცეთ ერთმანეთს ეს სიხარული. უთხარით ყველას, რომ ჩვენ აქ დედამიწაზედაც არა ვართ „ობლად“.

ქვეყნიურ რომელ ბედნიერებაზე შეიძლება გაიცვალოს ეს ჩვენი სიხარული? ნუ გავცვლით ჩვენ ამ სიხარულს ნურავითარ ქვეყნიურ პატივსა და დიდებაზე, ან ოქრო-ვერცხლზე. ჩვენ ობლები არა ვართ... ამ სასიხარულო ამბით, ამ საუცხოვო სიტყვებით ჩვენ გულს მოეფინება ნათელი მწუხარების დროსაც-კი, განათლდება გული სიღარიბეშიაც, როდესაც პური და ტანისამოსიც-კი დაგვაკლდება. გაგვინათლდება გული, როდესაც ჩვენ სასჯელშიაც-კი მიგვცემენ. როდესაც ღრმად ჩაუფიქრდები მე ამ სიტყვას, უფრო დაბეჯითებით ვრწმუნდები, რა ნამდვილად მართალია იგი. მაცხოვარს არა ერთხელ უთქვამს ეს ხალხისათვის, ამბობდა მხოლოდ სხვა სიტყვებით. რანაირი გულითადის გრძნობით სცდილობდა ის ჩაენერგა ეს აზრი თავის მოწაფეების და მორწმუნეების გულში. რანაირათ სცდილობდა ის გაექარვებინა მოციქულების გულში ყოველივე წარმოდგენა, რომ მომავალში ის უნდა დაშორებოდა მათ. ბევრჯელ ეუბნებოდა ის იმათ, რომ ეს დაშორება არასოდეს არ მოხდება. ბევრჯელ ეუბნებოდა ის იმათ, რომ ის ყოველთვის უხილავად იმათთან იქნება და ყოველ მის მორწმუნესთან. და მართლაც იგი ყოველთვის ჩვენთან არის. არასოდეს, სულ ცოტა ხანსაც-კი, არ დაგვტოვებს ის ჩვენ მარტოდ. ის დაგვპირდა ისეთ დაახლოვებას, რომელიც მისი ქვეყნად ცხოვრების დროს თითქმის შეუძლებლად სჩანდა. და განა ეს ნამდვილად სიმართლე არ არის?

აი ის ეუბნება ყოველ მის მორწმუნეს: „მე შევიყვარო იგი, და გამოუცხადო მას თავი ჩემი“. აი კიდევ ამბობს: „და მოვიდეთ მისსა, და მისთანა დავადგრეთ.“ (იოან. 14,21,23). ჩაუფიქრდით, რას ნიშნავენ ეს საუცხოვო სიტყვები: თვითონ ქრისტე გამოეცხადება ყოველ მორწმუნეს... ჩაუფიქრდით რას ნიშნავენ ეს სიტყვებიც: ის არამცთუ გამოემცხადება მორწმუნეს, არამედ დაადგრება მისთანა. როგორ მომეტებულ დაახლოვებაზედ-ღა შეიძლება ლაპარაკი, რომელსაც ქრისტე ჰპირდება თავის მორწმნეს? აბა რომელ მომაკვდავ მამას შეუძლიან ესე დაახლოვებული იყვეს თავის შვილებთან? და მასთან, ქრისტე გვპირდება არა მხოლოდ ერთხელ გამოცხადებას. ქრისტე მარადის „ახლოსაა“ ჩვენთან. „აჰა ესერა, ვჰსდგა კარსა

ზედა, და ვრეკ. უკეთუ ვინმე ისმინოს ხმისა ჩემისა, და განაღოს კარი, შევიდე მისთანა, და ვსჭამო მისთანა სერი, და მან ჩემთანა" (გამოცხადება იოან. 3,20), — აი იმისი სიტყვები. ვინღა იქნება ჩვენთან ახლო ქრისტე მაცხოვარზე? და კიდევ ის ამობს: სადაც ორი ან სამია შეგროვილი იმის სახელით, ის იმათთან არის. და კი არ იფიქროთ, რომ ქრისტე მაცხოვარი მხოლოდ ხან და ხან, ან მხოლოდ რომელიმე დროს არის ჩვენთან ესე ახლოს. არა, ის ყოველთვის განუყრელად ჩვენთან არის. არ შეიძლება წარმოდგენა ჭეშმარიტი ქრისტიანის ცხოვრებაში ისეთი წამისა, როდესაც ის იმასთან არ იყვეს. დღე და ღამე, დღეები და თვეები, წლები და საუკუნოები, სულ მთლად მარადის, იგი ყოველთვის ჩვენთან არის. მოისმინეთ აბა თითონ იმან რა სთქვა ამაზე: „აჰა ესერა, მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა, და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა". (მათ. 28,20).

მაშასადამე, ჩვენ „ობლები" არა ვყოფილვართ; მამა მარადის ჩვენთანაა. მომეტებული სიხარული აღარ გვინდა ჩვენ ქვეყნად. მხოლოდ ამ სიხარულით ადამიანს შეუძლიან ყოველ წუთს მშვიდობით მოელოდეს სიკვდილს.

მაგრამ როდესაც ვუცქერი თქვენ სახეს, და ვუკვირდები თქვენი სულის ვითარებას, მე ვამჩნევ თქვენში არა პატარა შეძრწუნებას. მე ვკითხულობ თქვენ სულში: როგორ? ამდენი ხანი გავიდა ქრისტე მაცხოვრის ამაღლების შემდეგ, და იგი ჩვენთან არის? განა მთლად ოცი საუკუნე არა სძევს ჩვენსა და იმის შუა? განა ჩვენ არ შეენატრით იმათ, ვინც თავის თვალით ნახეს იგი, თავის ყურებით მოისმინეს მისი ლაპარაკი, თავისი ხელები შეახეს მას? განა ჩვენ ყოველთვის იმას არ ვამობთ, რა ბედნიერნი ვიქნებოდით, რომ იმ დროს გვეცხოვრნა? და განა შესაძლებელია გაფიქრებაც-კი ქრისტეს ასეთ დაახლოვებაზედ ჩვენთან?

ახ, რა კარგად მესმის მე ყველა ეს თქვენი იჭვნეულობა, რა კარგად ვგრძნობ, თვითონ განვიცდი. ამ დროებაში ყველა ჩვენ ისე შორს წავედით ქრისტე მაცხოვრიდან, ისე საფუძვლიანად დავივიწყეთ მისი მცნებები, ისე გადავასხვაფერეთ მისი სწავლა იმ მიზნით, რომ დავმალოთ ბნელი მხარეები ჩვენის უხეირო — ლატაკი ცხოვრებისა, ისე ნაკლებად გვესმის იგი, რომ სხვანაირი ფიქრებით აღარც-კი შეგვიძლიან მოვისმინოთ საუცხოვო სიტყვები მაცხოვრისა მის სამუდამოდ ახლოს-ყოფნაზე ჩვენთან. აღარ ვამბობ იმათზე, ვინც დიდი ხანია გასცვალა ერთად-ერთი ზეციური მეგობარი ქვეყნიურ მეგობრებზე, თავისი ერთად ერთი მასწავლებელი ქვეყნიურ მასწავლებლებზე.

მაგრამ აბა ცოტათი მაინც ჩაუფიქრდეთ ქრისტე მაცხოვრის ამ სიტყვებს. ხომ არ ვნახავთ ჩვენ სულშიაც პატარა ადგილს მაინც მკვდრეთით აღდგომილისათვის?

სახარებაში ჩვენ გვაქვს ნამდვილი საბუთები ქრისტე მაცხოვრის ახლო ყოფნაზე ჩვენთან. ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ გულ-ახდილათ ვკითხოთ ჩვენ თავს: გვრწამს ჩვენ სახარება, თუ არა? თუ გვწამს მაშ ისიც უსათუოდ უნდა გვწამდეს, რომ ქრისტე მარადის ჩვენთანაა. თუ-კი ჩვეულებრივი კარგი კაცი ყოველთვის ნამდვილად ასრულებს თავის სიტყვას, მაშ, მით მომეტებულად შეასრულებს თავის სიტყვას ქრისტე მაცხოვარი, ძე ღვთისა. ვის შეუძლიან ამაში ეჭვი შეიტანოს? ღვთისთვის არავითარი სიტყვა შეუძლებელი არ არის...

და არა მარტო გულის-ხმობით ჩვენ ვრწმუნდებით ქრისტე მაცხოვრის ახლო ყოფნაში ჩვენთან. ვგონებ, არც ერთი ფაქტი არ არის ისე დაწვლილებით შემოწმებული ისტორიაში, როგორც ფაქტი მკვდრეთით აღდგომილის გამოცხადებისა სხვა და სხვა პირთათვის, სხვა და სხვა დროს, როგორც ფაქტი მისი მარადის ახლო ყოფნისა მორწმუნეებთან. ჩამოვთვალოთ თუნდაც რამდენიმე მათგანი. წმიდა დედათა ნახეს მის საფლავთან ანგელოზი, რომელმაც უთხრა მათ ქრისტეზე: „იგი ცოცხალია". მარიამ მაგდალინელი ელაპარაკებოდა თითონ ქრისტეს. ის გამოეცხადა სვიმონ-პეტრეს. აი მიდიან მოწაფეები იერუსალიმიდან სოფელს ემმაუსში და ფიქრობენ, რომ ქრისტეს სიკვდილის შემდეგ მათ აღარა დარჩენიათ-რა იქ. ქრისტე მაცხოვარი გამოეცხადა მათ გზაზე და აავსო მათი გული ისეთი არა ქვეყნიური სიხარულით, რომ ისინი მაშინვე დაბრუნდნენ იერუსალიმში თავიანთ ძმებთან ის. გამოეცხადა თერთმეტ მოწაფეს. რა ნაცნობი იყო მოწაფეებისათვის ეს მისი საუცხოვო ხმა; მისი ქვეყნიური ცხოვრების დროს მოწაფეებს რამდენჯერ მოუსმენიათ ეს საუცხოვო სიტყვები: „მშვიდობა თქვენთანა". ეს კიდევ ცოტაა... ის

ეუბნებოდა მათ; „იხილენით ხელნი ჩემნი და ფერ-ხნი; რამეთუ თავადი მე ვარ. და ესერა ჰსთქვა, უჩვენა მათ ხელნი და ფერხნი მისნი“. ხოლო იოანე მახარებელი ამას კიდევ მიუმატებს: „და გვერდი“. „ხელი შემახეთ მე და იხილეთ, რამეთუ სულსა ხორც და ძვალ არა ასხენ, ვითარცა ესე მე მხედავთ, რამეთუ მასხენ“. (მათ, 24,39). ბოლოს ის გამოეცხადა „ხუთასს კაცსა“...

შემდეგაც ქრისტე არ ანებებს თავს მოწაფეებს, სადაც-კი მიდიოდნენ ისინი საქადაგებლად მისი მოძღვრებისა. ყოველთვის იგი იმათთანაა. იგი აძლიერებს მათ, შემწეობას აძლევს ცხოვრების გაჭირვებულ მდგომარეობებში, რომელშიაც ჩაცვივდებოდნენ ხოლმე ისინი. მოგაგონებთ თქვენ აქ ერთ შემთხვევას პეტრე მოციქულის ცხოვრებიდან: იგი იყო უკვე ღრმად მოხუცებული. ცოტა ხანი-ღა დარჩენოდა იმას ქვეყნად ცხოვრება; თავის ზეციურ მოძღვრის სახელის გამო ის ხშირად განიცდიდა ტანჯვას. ქალაქ რომში, სადაც ის ცხოვრებდა, დაიწყო სასტიკი დევნა ქრისტიანებზე. მტრები ქრისტიანებისა ეძებდნენ წმ. მოციქულს მოსაკვლელად, როგორც წინამძღოლს რომის ქრისტიანებისას და მიზეზს ქრისტიანობის გავრცელებისას იქ. შეირყა გული დიდის მოციქულისა... იმან თავი დაანება რომის ქალაქს. როდესაც წმ. მოციქული ქალაქ გარედ გამოვიდა და მიდიოდა, მაშინ გზაზე შეხვდა მას ქრისტე. განცვიფრებულმა ასეთი მოულოდნელი შეხვედრით, მოციქულმა ჰკითხა მას:

—სად მიდიხარ შენ, უფალო?

—მივდივარ მე რომში, რომ ავიღო შენი ჯვარი, რომელსაც შენ გაექეცი.

შეკრთა მოციქულის გული. გაიგო მან თავისი შეცდომა. დავარდა მაცხოვრის ფეხებ წინ და უთხრა:

—ნუ წახვალ, უფალო, იქ. მე მივდივარ რომში და იქიდან აღარსად წავალ, რა ნაირი ტანჯვაც უნდა მომელოდეს იქ. ის მართლაც დაბრუნდა რომის ქალაქში და იქ დაასრულა თავისი სიცოცხლე მოწამებრივ. ამნაირად განამხნევებდა ქრისტე თავის მოწაფეებს.

(ეკლესიური იქნება).

მღ. იოანე ნუკიანოვი.

ერნესტ რენანი და მისი წიგნი „ცხოვრება იესოსი“.*)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლე ცხოვრების აღწერა ერნესტ რენანისა

ეროზეფ ერნესტ რენანი დაიბადა 1823 წ. 27 თებერვალს საფრანგეთის პროვინციის ბრეტონიის პატარა ქალაქს ტრეგიეში. მამა მისი იყო ღარიბი მეზღვეური, ის დაირჩო ზღვაში 1828 წელს, როცა ერნესტი მხოლოდ ხუთი წლის ბავშვი იყო და მიტომ მას შვილზე არავითარი გავლენა არა ჰქონია.—ტრეგიე უფრო დიდს მონასტერს წაგავდა, ვიდრე ქალაქს. ის სავსე იყო ბერებით და მოლოზნებით, რომლებიც რიცხვით ერისკაცებს აღემატებოდნენ, ეკკლესია მონასტრები და სამლოცველოები აქ უფრო მეტი იყო, ვიდრე დუქან-მაღაზიები; საზოგადოდ, ტრეგიეში არ განვითარებულა ქალაქური, ბაზრული ცხოვრება. აქაური მცხოვრებლებიც არ წაგავდნენ საფრანგეთის სხვა პროვინციების მცხოვრებლებს, ისინი იყვნენ მორწმუნენი, ღვთის მმოსავნი და ყველაზე უფრო ერთგულნი შვილნი კათოლიკეთა ეკკლესიისა და ამასთანავე ძალიან ცრუმორწმუნენიც. ამ ქალაქში გავრცელებული იყო ბევრი სხვა და სხვანაირი უცნაური ლეგენდები წმიდანების შესახებ, ეს ლეგენდები ხშირად უამბნია პატარა ერნესტისთვის მისს დედას; ამ ლეგენდებმა დიდი გავლენა იქონიეს რენანის ფანტაზიის განვითარებაზე და მათი გავლენით შექმნა მან ახალი ლეგენდური გიპოტეზა სახარების ისტორიულ მოთხრობათა შესახებ.

რენანის დედა დიდი პატივით ეპყრობოდა მღვდლებს და ბერებს, აფასებდა დიდად მათს რჩევა-დარიგებას და აი სწორეთ მათი რჩევით მიაბარა მან თავისი ვაჟი ტრეგიეს დაბალ სემინარიაში, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ კოლეჯში. ამ სემინარიაში მასწავლებლებად და აღმზრდელებად იყვნენ პატრები და ბერები რენანის სიტყვით, ისინი არა ყოფილან დიდი მეცნიერები, მაგრამ პატიოსნები და თავისებურად კეთილმსახურნიც იყვნენ.

*) უსწავლელ და უვიც ბიჭებს დააქვს ეს თარგმანი ბაზრობის დროს ხალხში და იძახიან: „წიგნი იესოსი, კარგი წიგნია, იყიდეთ!“ მათ არ იციან თუ რა მიზნით ავრცელებენ ჩვენში ზოგიერთი ჩვენი უსწავლელი და უვიცი „ფილოსოფოსები“ ამისთანა წიგნებს; ამისთვის სიამოვნებით ვაძლევთ ამ სტატიას ადგილს ჩვენს გამოცემაში.

მოხუცებულობაშიაც კი პატივ'ცემით იხსენიებს რენანი ამ თავის პირველ ჭკუის დამრიგებელ, „ღირს მამებს, რომლებიც იყვნენ ყველაზე უპატიოსნესი პირები ქვეყანაზე“.

მაგრამ ეს კარგი კაცები არ ვარგოდნენ მასწავლებლებად. სემინარიაში უმთავრესად ასწავლიდნენ ლათინურს ენას და ლექსებს, ამიტომ აქაური სწავლა არ იყო დამაკმაყოფილებელი, მასწავლებლები უფრო ზნეობრივს მხარეს აქცევდნენ ყურადღებას და სცდილობდნენ, აღეზარდნათ პატიოსანი კაცები და არა მეცნიერები. რენანი აქ, ტრეგიეშიც არ იყო თავისუფალი სარწმუნოების საწინააღმდეგო გავლენათაგან. მას ყავდა ბიძა, ხელობით მესაათე, ბიძას ერნესტი ძალიან უყვარდა, თუმცა არ მოსწონდა მისი სემინარიაში სწავლა და ხანდახან ხუმრობით „ლათინურით გატენილ ვირს“ ეძახდა; არც სხვა ნათესავები რენანისა ყოფილან ძალიან ერთგულნი კათოლიკეთა ეკკლესიისა, თუმცა, შეიძლება, ცხადად არ იჩენდნენ ამას; მაგრამ მორწმუნე დედის და პატრეს-ბერების გავლენა უფრო დიდი იყო და ტრეგიეში რენანის სარწმუნოება არ შერყეულა.

1838 წ. რენანმა გაათავა ტრეგიეს სემინარია და თავისი დის ჰენრიეტას რჩევით, რომელიც მაშინ პარიზში მსახურებდა, შევიდა წმ. ნიკოლოზის სემინარიაში, რომლის უფროსიც იყო მაშინ ცნობილი თავისუფალი მოაზრე აბატი დიუპანლუ. დიუპანლუ სრულიადაც არა ზრუნავდა, რომ მისი სემინარიიდან გამოსულიყვნენ მომზადებული ეკკლესიის მსახურნი, ის ხელს უწყობდა და აქეზებდა უფრო საერო მეცნიერების შესწავლას. აქ რენანმა პირველად გაიცნო მიშლე, ვიქტორ ჰიგო, ლამარტინი, რომელთა ნაწერებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს და გავლენა იქონიე'ს მაზე. თავისს მოგონებებში რენანი ამბობს: „ჩემი მოსვლა პარიზში იყო გადასვლა ერთი სარწმუნოებიდან მეორეში; ჩემი ბრეტონული ქრისტიანობა ისე გავდა აქაურს, როგორც ძველებური თახახიანი ტილო რბილს და ნაზს ბატისტს; აქ სულ სხვანაირად სწამდათ, ვიდრე ჩვენში („ტრეგიეში“). პარიზის სემინარიაში რენანი სულ გამოიცვალა, ბრეტონული მას აღარა შერჩარა, დიუპანლუმ ის სულ სხვანაირ კაცად გარდააქცია.

რენანი 1842 წ. შევიდა უმაღლესს წმ.სულპიციის სემინარიაში, რომელიც განიყოფებოდა საფილოსოფოსო და საღვთისმეტყველო ნაწილებად. ეს სემინარია ისეთვე სასტიკ კონსერვატორთა გამგეობაზე იყო, როგორც ტრეიგეს დაბალი სემინარია; აქაური მასწავლებლები თავისს თავს წმ. სარწმუმოების დარაჯებად და მცველებად რაცხდნენ, ესენი ყოველთვის და ყოველი საშუალებით სცდილობდნენ ეკკლესიის ინტერესების დაცვას; მაგრამ მათ ვეღარ შესძლეს ერნესტ რენანის თავიანთ გზაზე გამობრუნება და გასწორება და ეს უკანასკნელი თანდათან უფრო და უფრო იფლობოდა ურწმუნოების ჭაობში. ამ სემინარიის დაბალ განყოფილებაში რენანი სწავლობდა ფილოსოფიას; ის გაიტაცა ქრისტიანობის საწინააღმდეგო ფილოსოფიამ და საერო მეცნიერებამ, იგი უფრო განმტკიცდა სარწმუნოების უარყოფაში. ერთი წლის შემდეგ იგი გადავიდა წმ. სულპიციის სემინარიის უმაღლეს საღვთისმეტყველო განყოფილებაზე. რენანის სიტყვით, აქ ღვთისმეტყველებას საფუძვლიანად ასწავლიდნენ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ მისი სული და გული უკვე დაპყრობილი ყავდა ურწმუნოებას, — მას აღარა სწამდა სასწაული, განცხადება, მადლი და საიდუმლოები; მარტო დოღმატიურ ღვთისმეტყველების შესწავლას არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა მისი ქრისტიანობის საწინააღმდეგო ფილოსოფიით გაჟღენთილი გონება; მან სრულიად დაანება თავი ღვთისმეტყველებას და შეუდგა გერმანელ ფილოსოფოსების და სახარების მოწინააღმდეგეთა — შტრაუსის და ბაუერის თხზულებათა შესწავლას;*) ამათ სრულიად დაამხვეს რენანის ისედაც შერყეული სარწმუნოება და მან სავსებით მოსპო კავშირი კათოლიკეთა ეკკლესიასთან; ეს მოხდა 1845 წელს.

რენანი იყო ფრიად ნიჭიერი და გრძნობიერი კაცი; ის ინახავდა გულში იხსომებდა ყოველსავე, რაც კი მაზე შთაბეჭდილებას მოახდენდა ისე როგორც მაგნიტი იზიდავს ქაღალდების ნაჭრებს, მიუხედავად მათი ფერისა, ზომისა და წონისა. სამშობლოში რენანი სავსებით და სულ ადვილად დაემორჩილა იქაურს მოთხრობებს და ლეგენდებს

*) სემინარიის უმაღლეს საღვთისმეტყველო განყოფილებაზე რენანმა შეისწავლა ებრაული ენა, ხოლო უნივერსიტეტში ისმენდა ლექციებს არქეოლოგიაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიადვილით დაემორჩილა დიუპანლუს გავლენას. იგი აქ ხარბად დაეწაფა მაშინდელს საერო ლიტერატურას, რომელმაც მოამზადა იგი ქრისტიანობის საწინააღმდეგო მოძღვრების ადვილად მისაღებად. წმ. ნიკოლოზის სემინარიაში მას ღვთისწმიდანების შესახებ, ხოლო პარიზში ამ გვარივე მეტყველება არ უსწავლია, რადგანაც აქ არ ასწავლიდნენ მას, ხოლო სულპიცის სემინარიაში თვითონ აღარ ისურვა ღვთიმეტყველების სწავლა, რადგანა მისს გონებაში უკვე ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული ქრისტიანობის საწინააღმდეგო შეხედულებას; ამ რიგად რენანი არა ყოფილა ღრმად განსწავლული ღვთისმეტყველი და ეს ეტყობა კიდეც მისს ნაწერებს. კრიტიკოსები ფილოსოფოსად არ სთვლიან რენანს. ისინი ვერ ჰპოვებენ მისს ნაწერებში ფილოსოფიურ ცნებათა მწყობრად დალაგებას და მათს თანდათანობითს განვითარებას; ეს კი მოხდა მისგან, რომ რენანს არ შეუსწავლია ფილოსოფია სისტემატიურად, დალაგებით, ის სწავლობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

სემინარიიდან გამოსვლის შემდეგ, რენანი შეავიდა უნივერსიტეტში, რომელიც დაასრულა 1847 წელს, და მალე შემდეგ ამისა ვერსალის ლიცეიში მიიღო პროფესორის ადგილი.

1860 წ. შესდგა საფრანგეთში სწავლულთაგან ფინიკიის არქეოლოგიურად გამომკვლევი ექსპედიცია. ნაპოლეონ III სურვილით ამ ეკსპედიციის მეთაურობა იკისრა რენანმა. მას დიდიხანია სურდა მოეარნა პალესტინა და ენახა სახარების ისტორიული ადგილები; მას აზრად ჰქონდა დაეწერა კრიტიკული ისტორია ქრისტიანობის წარმოშობის შესახებ და, რასაკვირველია, მორება პალესტინისა, საცა დაიბადა, აღიზარდა და სცხოვრებდა იესო, დამაარსებელი ქრისტიანობისა, დიდს სამსახურს გაუწევდა მას ამაში. რენანმა პალესტინაში თან წაიყვანა თავისი და ჰენრიეტა, მოვლო ყველა ქალაქები, სოფლები და ადგილები, რომლებიც კი მოხსენებულ არიან სახარებაში; ამ ადგილების მოვლას რენანი დიდს მნიშვნელობას აძლევდა— იგი პალესტინას „მეხუთე სახარებას“ უწოდებს. შემდეგ ამისა მან დასწერა თავისი ცნობილი წიგნი „ცხოვრება იესოსი“, რომელიც დაიბეჭდა 1863 წ. ივნისში და რომელიც არი უმცირესი ნაწილი მისი დიდი თხუზულებისა ქრისტიანობის შესახებ.

თავგადასავალი რენანის თხზულების „ცხოვრება იესოსი“

დიდი აღტაცებით და სიხარულით მიეგებნენ რენანის წიგნს „ცხოვრება იესოსი“ მაშინდელი ლიბერალები, რომლებიც მტრული თვალით უცქერდნენ კათოლიკეთა ეკკლესიას და ქრისტიანობას; ამ წიგნში ისინი ხედავდნენ სარწმუნოების ძლევას ურწმუნოებისაგან; წიგნი მაშინვე გადათარგმნა ევროპის თითქმის ყველა ენაზე, აქამდის უცნობი რენანი ყველამ გაიცნო. სულ სხვანაირად მიეგებნენ რენანის წიგნს კათოლიკეთა ეკკლესიის წარმომადგენელნი, მათ თავზარი დასცა ამ წიგნმა. რომის პაპმა და მღვდელთ-მთავრებმა მაშინვე გამოსცეს ეპისტოლეები მორწმუნეთა მიმართ, რომლებშიაც აუწყებდნენ, რომ ქვეყნად გამოჩნდა ანტიქრისტე რენანიო, პაპის განკარგულებით ერნესტ რენანი განკვეთილ იქმნა ეკკლესიისგან, კათოლიკეთა ჟურნალ-გაზეთები სავსეები იყვნენ რენანის სალანძღველ საგინებელი სტატიებით; რასაკვირველია ამან ყველამ უმეტესად ხელი შეუწყო რენანის თხზულების გავრცელებას.—მაგრამ მალე დადგა ხანა რენანის თხუზულების გულდამშვიდებით და დადინჯებულად განხილვისა, ბევრი კათოლიკე სწავლულნი შეუდგნენ დარბაისლურად რენანის წიგნის განხილვას და სისწორით აღნიშნეს მისი ნაკლულევანებანი.

გერმანელმა სწავლულებმაც გაიცნეს რენანის წინგნი და აღნიშნეს მისი სუსტი მხარეები, სახელდობრ ის, რომ შეხედულობა სახარების ისტორიაზე ამ წიგნში გატარებული არ არის საკუთარი რენანის, არამედ აღებულია სავსებით გერმანელ მეცნიერთაგან და აგრეთვე ისიც, რომ რენანის წიგნს არა აქვს მეცნიერული ხასიათი; მათი გამოანგარიშებით, რენანის წიგნში, რომელიც შეიცავს ოთხას ორმოცდა ცხრამეტს გვერდს შვიდას ოცდა სამჯერ არის ნახმარი სიტყვები: „მგონია“, „თითქო“, „შეიძლება“, „ალბათ“. სახე იესოსი წარმოდგენილია არა ნამდვილად ისტორიული, ფანტაზიას რომ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ამ თხუზულებაში, ასე რომ ნამდვილი ისტორიის მაგივრად გამოდის რაღაცა რომანი, რომელშიაც ერთმანეთში არეულია და გადახლართული ფანტაზიური სურათები, და სინამდვილე. მათი აზრით

რენანმა არა თუ არ გაასუფთავა „ლეგენდა“, როგორათაც ის სთვლის სახარების ისტორიას, არამედ უფრო გაბუნდოვანა და გაართულა იგი თავისი ფანტაზიის შეთხზული ახალი ლეგენდებით. რენანი გულდადებით ისმენდა კრიტიკოსების შენიშვნებს და ბევრი თავისგან წარმოთქმული აზრი უარყო, ბევრიც შეცვალა ძირითადად შემდეგს გამოცემებში.

რენანის წიგნი „ცხოვრება იესოსი“ ქართულად გადმოთარგმნა ია ეკალაძემ 1906 წ. თვით რენანმა შეამოკლა და გადაა ეთა „სახალხოდ“ თავისი თხუზულება, რადგანაც პირველი გამოცემა მისი დიდი იყო სივრცით და ძვირი ფასით; ამ შემოკლებული გამოცემის რუსული თარგანიდან გადმოთარგმნილია ცხოვრება იესოსი ქართულად. ამ „სახალხო“ გამოცემას პირველ გამოცემასთან შედარებით აკლია: 1, შესავალი, რომელშიაც განხილულია იესოს ცხოვრების წყაროები — სახარებები, 2, თავები — პირველი: „ადგილი იესოსი საქვეყნო ისტორიაში“, მეთექვსმეტე: „იესოს სასწაულები“, — მეცხრამეტე: „გაძლიერება ენტუზიაზმისა და ეკზალტაციისა“, ოცდა მეოთხე: „იესო საფლავში და ოცდა მეშვიდე: „იესოს მტრების თავგადასავალი“, ასე რომ ოცდა შვიდი თავის მაგიერ შემოკლებულ სახალხო გამოცემაში და ქართულს თარგმანშიაც არის მხოლოდ ოცდა სამი თავი. გამოტოვებულია ამავე გამოცემაში სტრიქონ ქვეშ შენიშვნები და ციტატები სახარებიდამ და სხვა წყამოებიდან. რენანის წიგნის განხილვის დროს ჩვენ ვიხელმძღვანელებთ ორთავე გამოცემებით — სრულითაც და შემოკლებულითაც.

ნამდვილი მართალი.

(წერილი რედაქციისადმი)

მ. რ! ამ წლის თქვენს პმტივცემულ გაზ. „მწყემსის“ № 9 ნომერში მოთავსებულია იმერეთის სამღვდელოების დეპუტატთა შარშანდელი 47 კრების ანგარიში წმინდა სანთლის წარმოების კითხვის შესახებ. მაგრამ, რადგან კრებაზე მომხდარი ზოგიერთი ამბები ნამდვილად არ არის აღნიშნული, ჭეშმარიტების აღსადგენად მე, როგორც ერთი დეპუტატთაგანი, ნებას ვაძლევ ჩემს თავს მოუთხრო სიმართლის მოყვარე მკითხველს ნამდვილი მართალი ამ საქმის შესახებ. იქნება სიმართლის თქმა ზოგიერთებს არც კი ეჭაშნიკოსთ, მაგრამ რა უყოთ! ეს ხომ ჩვენი ბრალი არ არის?! ჩვენ იმას ვიტყვით, რაც ჩვენი თვალით ვიხილეთ და რაც ნამდვილად კრებაზე მოხდა. ამიტომ ნურავინ ინებებს უბრალოდ განრისხებას.

ეს ერთი ხანია სამღვდელოების კრებამ დაჰკარგა სიდინჯე, მიუდგომლობა და გულწრფელობა ამა თუ იმ კითხვის მსჯელობის დროს; მის აზროვნებას ეტყობა ფუქსავატობა და პირმოთნეობა. ყველაზე მეტად ამგვარ მსჯელობას იჩენს სამღვდელოების კრება, როცა საქმე ფულებს ეხება, განსაკუთრებით კი სანთლის წარმოებას. მაშინ-როდესაც სანთლის წარმოება ერთად ერთი ნუგეშია სამღვდელოებისა, ეხლანდელ მის გაჭირვების დროს, როცა ათასგვარი მოთხოვნილება კარზე მოდგომია და ხმა მაღლა უკაკუნებს და ამისათვის მეტს ყურადღებას თხოვილობს, იგი კი გულ გრილად და აგდებულად ეკიდება ამ საქმეს. რატომ ხდება ეს ასე? რატომაც უნდა იყოს და რაც უნდა იყოს, სამწუხაროა, რადგან საზოგადო საქმეში ამ გვარი საქციელი ყოველთვის დამღუპველია საქმისა და მავნებელი თვით საზოგადოებისათვის. აი, ამას უნდა გრძნობდეს სამღვდელოების კრება და არასოდეს არ უნდა გაურიოს საზოგადო საქმეში პირადობა. პირადი სარგებლობის წინ ყოველთვის საზოგადო სარგებლობას უნდა აყენებდეს. ასე მოიქცა სამღვდელოება 47 კრებაზე? არა. ეს ჩვენ ვერ შევნიშნეთ. აი თვით ფაქტები და მკითხველმა საჯოს.

როგორც „მწყემს-“ის № 9 ნომრიდან უწყის მკითხველმა, სამღვდელოების 47 კრებაზე უნდა არჩეულიყო სანთლის საწყობის ახალი მმართველი, რადგან ერთის თვის წინად კრებამდი ხმა დადიოდა, რომ ძველმა მმართველმა ბ. მღვ. ამ. ფოფხაძემ გამგეობას თავი უნდა დაანებოს და ს. ქვიტირის მღვდლობა მიღოსო. მაგრამ საქმე ისე ხელოვნურად იყო მოწყობილი და საიდუმლოებით მოცული, რომ საქვეყნოდ სჩანდა ძველი მმართველის გადადგომა და ახალის არჩევანი. როცა დაინტერესებული პირები ამის შესახებ მოინდომებდენ სიმართლის გაგებას, მმართველი უპასუხებდათ: „მე ჯერ მაინც მღვდლობის ადგილი არ მიმიღია, მაგ-

რამ რომ მივიღო კიდეც, აქაც ვიმსახურებ და იქაცო“. ეს, რა თქმა უნდა, სასარგებლო იქნებოდა მ. ამროსისათვის, მაგრამ მოუხერხებელი კი იყო. ამას, უეჭველია, თვითონაც კარგად გრძნობდა, მაგრამ ხმას თუ მაინც ასე ჰყრიდა, სულ სხვა განზრახვით. რაკი თვითონ აღარ უხერხდებოდა საწყობში მთლად დარჩენა, უნდოდა საქმე ისე მოეწყო, რომ სანახევროდ მაინც არ ჩამოშორებოდა ამ საქმეს. რასთვის? ამბობენ, ასე იცის თურმე ბუზმაც. რაკი ერთხელ თაფლის გემოს გასინჯავს, მერე იმ ადგილს კი აღარ მოშორდება. დიაღ, უნდოდა მ. ამბროსის თავისიანი ვინმე გაეყვანა მმართველად, რომ მისი ნამოქმედარი გარეთ არ გამოეტანა და ხანდახან, თავის შესაქცევად, მმართველობაშიაც წილი ჰქონოდა, უფლება არ დაჰკარგოდა. ხუმრობა ხომ არ იყო!? ამ გვარ შემთხვევაში, როგორც მოგეხსენებათ, ხერხია საჭირო და მ. ამბროსიმაც მას მიმართა. რომ კრებაზე მისიანს მოციქულები არ გამოსჩენოდნენ, თავის გადადგომის საქმეს აფუჩეჩებდა, კრების დაშლას უცდიდა, და შემდეგ მზად იყო საქმე: როგორც უნდოდა, ისე მოახერხებდა. ამიტომაც იყო, რომ დეპუტატების უმრავლესობას პირველი სხდომის დაწყებამდე შესაძლებლად არ მიაჩნდათ ახალი მმართველის არჩევანი მით უმეტეს, რომ მღვდელ-მთავარიც ვერ ხედავდა ჯერ თავისუფალ მღვდლობის ადგილს მ. ამბროსისათვის. ბოროტ ენები ამბობდენ, მ. ამბროსის შეჩენილი ჰყავს კაცები, რომ იმ მღვდელმა, რომლის ადგილსაც მას აძლევდენ, კრების დასრულებამდი არ შემოიტანოს გადადგომის ქაღალდიო. ქაღალდი იგვიანებდა, ადგილი არ თავისუფლდებოდა და მღვდელ-მთავარიც ეუბნებოდა ყველას: საქმე გამოურკვეველია მაინც, მაგრამ მე მაგ საქმეში არ ვერევი და სამღვდელოებას როგორც უნდა, ისე გადაწყვიტოსო. თუმცა საქმის ვითარება ასეთი იყო, მაგრამ მამალს კალათიდან ბოლო მაინც მოუჩანდა... ამას ადვილად ხედავდენ დაკვირვებული და შორს-მჭვრეტელი დეპუტატები და ამიტომ მათ აღარ გაოცებიათ, როცა კრებას გადაცა განსახილველად მღვ. ს. შუბლაძის თხოვნა მღვდელთ მთავრის განმარტებით, ამით აიხადა ფარდა. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: მ. ა. ფ—ძის შუბი აღარ დაიმალა ხალთაში! მისი წვერი ზოგიერთებს მაშინვე გულზე მოხვდათ და მეორე დღეს კრების თავმჯდომარემ მიიღო კიდევ ოთხი თხოვნა მმართველის ადგილის დასაჭერად. პირველი მარტის სხდომაზე სამღვდელოების კრებაში მოისმინა მათი შინაარსი. საყურადღებო იყო ეს თხოვნები თავისი ახირებული შინაარსით. ერთი სთხოვდა მღვდელ-მთავარს: „მრავალგზის მოგართვით თხოვნა ჩემი გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ და კარგად უწყით ჩემი ამბავი. აღარ გავიმეორებ იმას, რაც მომიხსენებია, მხოლოდ ახლა კი მოვახსენებ თქვენს მეუფებას, რომ რამდენადაც თქვენ ბრძანებდით დარწმუნებული რომ მე ამ საქმეს კარგად ვაწარმოვებ, იმდენად მე ვეცდები კარგად წავიყანო სანთლის საქმე და გავამართლო თქვენი მონდობილობაო.“ მღვდელ-მთავარიც ამოწმებდა მთხოვნელის ცხოვრების აუტანელ პირობებს და სამღვდელოებას ურჩევდა ქუთაქუთაისში მისი გადმოყვანის საჭიროებას. ზოგიერთს დეპუტატებს როგორღაც არ მოეწონათ არც მთხოვნელის ეს გადაკრულ-გადმოკრული სიტყვები და არც მღვდელ-მთავრის განმარტება, მაგრამ ხმა არავის ამოუღია. მხოლოდ თავმჯდომარემ შენიშნა და იმასაც სამედიატორო სამართალში იწვევდა მთხოვნელი შუბლაძე, ვითომდა შეურაცხყოფისთვის. მოხდა მათ შორის გასამართლება თუ არა, ეს მე არ ვიცი. მხოლოდ ეს კი ვიცი... მაგრამ რა საჭიროა, რაც მე ვიცი. აი თვითონ თქვენ მოისმინეთ რაც იყო. მეორე მთხოვნელი კი სწერდა: „მე ყ-დ სამღვდელოს განკარგულებით 500 მან. მასესხეს სანთლის საწყობიდან. ახლა სინდისი მაწუხებს, რომ ვალს გადახდა უნდა, მაგრამ, რა ვქნა, რომ არა მაქვს მოხერხება. თან ერთი სნეული და ფეხ ტკივანი კაცი ვარ, შედით ჩემ მდგომარეობაში და მმართველად მე დამნიშნეთ. თქვენც გაგისტუმრებთ და მეც ხეირს ვნახავო!? მესამე სწერდა: „მე კარგი ინგარიშის კაცი ვარ: ვყოფილვარ ჭიათურაში შავ-ქვაზე. მონასტრის საქმეც მიწარმოებია და ახლაც სანთლის საწყობის სარევიზიო კომისიის წევრი ვარო..? მეოთხე სწერდა: „მე პოლიციის მდევნის, ერთ ხანს, გაგებული გექნებათ, დაჭერილიც ვიყავი, მაგრამ გამომიშვეს. ახლა კი თვალს მადევნებენ და რომ არ დამიჭირონ, სანთლის საწყობში გადამიყვანეთო. მეხუთე სწერდა: მრევლი ჩემზე უკმაყოფილოა. აღარც არაფერს მაძლევენ და აღარც მაყენებენ. იძულებული

ვარ თავი დავანებო და თქვენ მაინც შემიწყნარეთო..?—როცა კრებამ მოისმინა ამგვარი ახირებული თხოვნები, ვფიქრობდით, დეპუტატები შეევიდოდენ მათ განხილვაში და თვითონ დანიშნავდენ კანდიდატებს, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! კანდიდატობა მოისურვა თვითონ თავმჯდომარემ მღვ. ი. ფანცხავამ, რომელმაც განუცხადა კრებას: თუმცა ამ წაკითხულ თხოვნებში აღნიშნული არც ერთი პირობები არ მიწყობენ ხელს, მაგრამ ისე კი, თუ კრება ამირჩევს, მზადა ვარ საზოგადო საქმეს ვემსახუროთ. ამის შემდეგ დროებით გადადგა თავმჯდომარე და მისი ადგილი დაიკავა—მისმა თანაშემწემ ბ. მღვ. ს. დევიძემ. კანდიდატების სიას მიემატა კიდევ ორი: ბლაღ მღვ. ზ. შანიძე და ქართლ-კახეთის ეპარქიის მღვდელი ი. სხირტლაძე. ამ გვარად მართველის ადგილის მთხოვნელი აღმოჩნდა რვა კაცი. ამბროსის და მის კამპანიას ფერი ეცვალა. საეჭვოდ დაინახეს თავისიანის გაყვანა და ამიტომ საქმის ასარევად და ზოგიერთი კანდიდატების ჩამოსაშორებლად სიტყვა ჩამოაგდეს მმართველის ისედაც მცირე ჯამაგირის შემცირებაზე. ამით უნდოდათ ფონს გასულივნენ, მაგრამ ნახტომი შეეშალათ. თუმცა წინანდელ კრებაზე განსაზღვრული იყო მმართველის ჯამაგირი 600—700 მან. წელიწადში, მაგრამ ეს 600 მ. დეკ. ივ. აბესაძეს დიდად მოეჩვენა და უმტკიცებდა კრებას, რომ 300 მანეთი საკმაოაო*). მაგრამ როცა კრებამ მოაგონა თავისი 2000—3000 მანეთიანი ჯამაგირი, რომელიც მას კიდევ საკმაოდ არ მიაჩნია თავისთვის, ხმა ჩაიკმინდა. ხმა ჩაიკმიდეს სხვებმაც, რადგან მიხვდენ ამ კითხვის უადგილოდ და უხერხულად წამოყენებას. კრებამ ისევ წინანდელი ჯამაგირის ნორმა დასტოვა და შეუდგენ საქმეს. მ. ამბროსი ფ—ძე კი არ ისვენებდა: დადიოდა აქეთ-იქით და ყველას მომხრეობას სთხოვდა. კრებამ მცირე მოლაპარაკების შემდეგ ერთ ხმად გარდაწყვიტა, რომ კანდიდატების სიმრავლისა გამო, დროს მოსაგებად, რადგან კრებას ერთი ყუთი მეტი არა ჰქონდა, კენჭის ყრის ნაცვლად, აღრჩევა მომხდარიყო საიდუმლოდ ბარათებზე დაწერით. ამ გვარი აღრჩევა კანონიერად და გათავებულად უნდა ჩათვლილიყო. კრება დათანხმდა ამაზე, მაგრამ ის კი ვერ წარმოიდგინა, რომ ამით მ. ამბროსის გასაძრომ ხვრელს უტოვებდნენ. დასწერეს და წარუდგინეს ბარათები. აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტი აღრჩევითი ხმა მიიღო მ. ი. ფანცხავამ. მ. ამბროსის და მის კამპანიას ელდა ეცა. გაშეშდენ, ენას ველარ ძრავდნენ. მაგრამ მ. ი. ტაბიძემ დაარღვია სიჩუმე და თავმომწონედ გაძვრა იმ ხვრელში, რომელიც კრებამ დაუტოვა მ. ამბროსის, და თან გაიყოლია თავისიანებიც, ისმოდა ხვრელიდან უთავბოლო ყიჟინა: „ახლა არჩევანი კი არა, კანდიდატების დასახელება იყოვო. კენჭი ვყაროთ, კენჭიო.“ მაგრამ კრების უმრავლესობამ იმ დღეს ფანცხავას არჩევანი კანონიერად მიიღო. თუმც ახალმა აღრჩეულმა მმართველმა მაშინაც განაცხადა, რომ რადგან ზოგიერთებს კენჭის ყრა კიდევ საჭიროდ მიაჩნიათ, ბარემ ახლავე მოახდინეთო, მაგრამ ეს კრებამ აღარ ინება. ზოგიერთებმა სთხოვეს ფანცხავას, რომ დაუთმოს მან ეს ადგილი შუბლაძეს, რომელმაც თავისითაც სთხოვა ეს დათმობა, მაგრამ ფანცხავამ როგორღაც ვერ იცნო ეს მოსახერხებლად და რიგიანად. ამ გვარად, მეორე დღემდი ყველა დარწმუნებული იყო, რომ სანთლის საწყობის მმართველად აღრჩეულია მ. ი. ფანცხავა და არა სხვა ვინმე ამასთან კრებამ აირჩია სანთლის ქარხნის და საწყობის კონტროლერად დეკ. დ. ლამბაშიძე მმ. შანიძე და ჩოხანელიძე. ეს თავზარ დასაცემი იყო ზოგიერთებისათვის. მეორე დღეს, 2 მარტს, სხვა აღმოჩნდა. თავმჯდომარე და საქმის მწარმოებელიც აგვიანებდენ ამ აღრჩევაზე ოქმის შედგენას. ეტყობოდა, რომ რაღაც მზადდებოდა. ემზადებოდენ მეორე დღისთვის. შეიქმნა გახმობ-გამოხმობა, ჩაპუტუნება და მიხლა-მოხლა. მღვდელმთავართანაც ხშირად შედიოდენ და გამოდიოდენ. ამბობდენ, მღვდელმთავარს ერთი თვის წინად. ჰქონდა აღთქმული ეს ადგილი შუბლაძეზეო. იმასაც ამბობდენ ახლა, რომ იმ დღეს დიდი წვეულება იყო გამართულიო. მე ესენი არა მჯერა, მაგრამ განზრახვა კი სისრულეში მოიყვანეს, „რადგან საქმის ასარჩევად შეიძინეს ზოგი დეპუტატი და არა დეპუტატიც. დაიწყო სხდომა ორ მარტს თუ არა, მ. ი. ტამიძემ წარუდგინა თავმჯდომარეს თავის

*) სრულებით მართალი სთქვა დეკ. ი. აბესაძემ. ღდეს მმართველს სრულებით არა აქვს ის საქმე რაც წინეთ ჰქონიათ მმართველებს. ღდეს ის არის საწყობის გამგე და არა მმართველი. იგი იღებს დამზადებულს სანთლის და ყიდის საწყობში.„

ნათესავების მიერ ხელმოწერილი ქაღალდი, რომელშიდაც წინა დღის არჩევნებს უკანონოდ სთვლიდა, ხოლო დეკ. დ. ღამბაშიძის სარევიზიო კომისიის წევრად დანიშვნას კი სანთლის საქმის დამღუპველად. ითხოვდა ეს ქაღალდი წარდგენოდა მღვდელ-მთავარს არჩევნების ოქმთან ერთად. აშკარა იყო, თუ არჩევნების ჩაშლას ვერ მოახერხებდენ იმ დღეს, ამ ქაღალდით მაინც აერიათ საქმე. მაგრამ არჩევანის ჩაშლაც ადვილად მოახერხეს. ეს იკისრა ამ გვარ საქმეებში დახელოვნებულმა მ. ა. ფ—ძემ. სხდომების გათავების შემდეგ, როცა დეპუტატები ოქმზე ხელის მოწერას ეშურებოდნენ, მ. ამბროსი წარდგა და კრებას განუცხადა: მე დამავალა ეპისკოპოსმა გაგიცხადოთ, რომ ის მმართველის გუშინდელ არჩევანს უკანონოდ სცნობს და ამიტომ ფანცხავას არ დაამტკიცებსო. მოვახდინოთ ახალი კენჭის ყრაო. ამას დასძინა ღამბაშიძის დანიშვნა კონტროლერად არ შეიძლება სხვა ავირჩიოთ და თუ არ გამოცვლით ორი საიმედო პირი კიდევ დავნიშნოთო. გაისმა ხმა: დავნიშნოთ მამა ფოფხაძე და სიმონ მჭედლიძეო. ეს საკმაო იყო და ჩაიტანეს ჟურნალში. ეს ორი „საიმედო“ პირიც. კენჭი, კენჭიო, იგრიალეს ახლად შეძენილმა დეპუტატებმა. განსაკუთრებით კი თავს იკლავდა პეტრე-პავლეს ეკკლესიის შედავითნე ონიფანტე სვანიძე და დაჟინებით ითხოვდა კენჭის ყრას. აირია მონასტერი, შეიქმნა ჩოჩქოლი- ყველა ხედავდა, რომ აქ ხრიკები იყო; ყველა გრძნობდა, რომ უსამართლოდ იქცეოდნენ, მაგრამ გამბედაობა არ შესწევდათ თავისს სინდისს დამორჩილებოდენ. საქმეს დასასრული არ უჩანდა, ხოლო დაღლილი დეპუტატები კი საქმის დაბოლოებას ეშურებოდენ და ბინისკენ იჩქაროდენ. ამიტომ ზოგიერთებმა სთხოვეს მ. იუსტინე ფანცხავას დასთანხმებულიყო ხელახალ კენჭის ყრაზე. ისიც დასთანხმდა. შუბლაძესაც და ფანცხავასაც ორივეს თანასწორი კენჭი ამოუვიდათ. კრება აქაც უსამართლოდ მოიქცა, რათ უყარეს კენჭი მარტო ორს კანდიდატს რვა კაციდან, როცა დანაჩენებისათვის არავის უკითხავს უარს ამბობდენ ისინი კენჭის ყრაზე, თუ არა. და კიდევ. რათ არ მოახდინეს მეორე კენჭის ყრა, როცა ხმები გათანასწორდნენ? ამ დროს თავმჯდომარემ მ. ს. დევიძემ ამოიღო დაბეჭდილი წერილი, ვახსნა და კრებას წაუკითხა: რადგან მე დღეს დრო არა მაქვს კრებას დავესწრო, თუ მმართველის არჩევანი მოხდეს, ჩემს მაგიერად კენჭი შენ შუბლაძის სასარგებლოდ ჩააგდეო, სწერდა მ. ტ, მიგრაშვილი. კრება კი ასეთ უკანონობაზე აღარ დათანხმდა და ზოგიერთებმა დაიყვირეს: მღვდელ-მთავარს მივანდოთ, მღვდელ-მთავარს და იმან აირჩიოსო. შუბლაძე და მისი პარტია მ. ამბროსითურთ გამარჯვებას დღესასწაულობდენ. როგორც ვიცით, მღვდელ-მთავარმაც შუბლაძე აირჩია იმ მოსაზრებით, რომ მისი სოფელში ცხოვრება აუტანელი და მძიმეაო. ახლა ეს არის საკითხავი, სხვისთვის კი ასატანი იყო?! ამ ნაირად მ. ა. ფ—ძის მაცადინობამ გასჭრა. თავისი ნათესავიც შეიყვანა სანთლის საწყობში და თვითონაც სარევიზიო კომისიის წევრად ჩააკვეხებია კრებას თავისი თავი. დღესაც ფაქტიური მმართველი საწყობის ის არის, მერე რატომ დათანხმდა კრებაო, იტყვით? ჩვენც გვიკვირს. რატომ იგდებენ სამღვდელოებას, ასე აბუჩად? ჩვენც ეს გვაკვირვებს. მხოლოდ შევნიშნავთ, რომ თვითონ ვაძლევთ სხვებს ამის საბუთს; ისინიც სარგებლობდენ შემთეევევით და იქ, სადაც საყვედური უნდა მიიღონ, მადლობას იმსახურებენ ჩვენგან. ასეთი დაუმსახურებელი მადლობა მიიღო მ. ა. ფ—ძემ წარსული 47 კრების დეპუტატებისაგან. ამას არც თვითონ სარევიზიო კომისიის წევრები მალავდენ კრების გათავების შემდეგ, როცა დარწმუნდენ რომ სამღვდელოებამ მათი „ნაყოფიერი“ შრომა არ დააფასა და სასყიდელი არ მისცა, როგორც ამას თურმე პირდებოდა ძველი მმართველი საწყობისა მ. ამბროსი. კრება რომ დაწვრილებით სანთლის წარმოების განხილვას შედგომოდა და რევიზიის ოქმები გაესინჯა, მართველი, მადლობის ნაცვლად პანღურს მიიღებდაო, ამბობდენ ისინი. აი ესეც შენი მიუდგომლობა და პირუთვნელობა! ასეთ პირობებში საზოგადო საქმე განა იხეირებს? მეტი გულწრფელობა, მეტი სინათლე, მეტი გამბედაობა, მამანო და ძმანო, თორემ რას გვარგებს ბოლოს თითზედა კბენანი!?“

მართლის მთქმელი

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

„განხილვა ერნესტრენანის მოსაზრებათა ქრისტეს ცხოვრების შესახებ ალექსი ბერის მიერ.“ გამოცემა იოსებ ლეჟავასი, №41 ტფილისი 1908 წ. 30 ᲒᲒ.

ერთი პატარა, მაგრამ შინაარსიანი წიგნაკი მოემატა კიდევ ღარიბს ქართულს ქრისტეს მტერთა საწინააღმდეგო ლიტერატურას. წიგნაკი, რომლის სათაურიც ჩვენ ამოვწერეთ ზევით, ეკუთნის დაუღალავს სულიერს მოღვაწეს მღვდელმონაზონს ალექსი შუშანიას. წიგნაკი შეიცავს შესავალ-წინასიტყვაობას და ხუთს თავს, რომლებშიაც განხილულია რენანის მოსაზრებანი იესოს შობის ადგილზე, მის ოჯახურ მდგომარეობაზე, ღვთაებრივობაზე და გარეგან საეკკლესიო წესთმოქმედებაზე. ზემო აღნიშნულნი მოსაზნებანი რენანისა დარღვეულია ამ პატარა წიგნაკში სახარების და ებრაელთა ძველ მწერალთა მოწმობებით. წიგნში სიამოვნებით წასაკითხია მოსაზრებანი ღრმად მორწმუნე და მხურვალე მლოცველ მამისა გარეგან წესთმოქმედების შესახებ; ცხადად სჩანს დიდი დაკვირვება და გამოცდილება ღრმად მორწმუნე კაცისა. წიგნი დაწერილია მარტივი, ადვილად გასაგები ენით. ურიგდება მსურველთ უფასოდ. ღირს ამ წიგნაკის წაკითხვა.

მახარობელი.

რუსეთის პრესა ექზარხოსის მოკვლის შესახებ.

საქართვ. ექზარხოსის ნიკონის მოკვლის ამბავმა, რასაკვირველია, მთელი რუსული პრესა აალაპარაკა. ყველა აღელვებული და შეშფოთებულია ამ არა-ჩვეულებრივის ბოროტ-მოქმედებით და მწუხარებას აცხადებს საშინელ ტრაგედიის გამო. მწუხარების გამოთქმაში ერთსულოვნობა ჰსუფევს, მაგრამ ამ ფაქტის გამო მსჯელობაში დიდი განსხვავებაა გაზეთებს შორის, იმის მიხედვით, თუ რომელ მიმართულებას ეკუთვნის გაზეთი. შავრაზმელმა პრესამ, როგორც აქ „გოლოს კავკაზ-მა“, ხელზე დაიხვია ექზარხოსის მოკვლა და ჯვაროსნული ომი გამოუცხადა მთელ „ინოროდცების“ ქვეყანას. ამ პრესას სათავეში უდგია „ნოვ. ვრემია“. რომელის პუბლიცისტი მენშიკოვი ნამდვილად გაგიჟდა და მთავრობას ურჩევს „ყველა ველურ კავკასიელების“ ამოწყვეტას. ეს „ბოროტი გენიოსი“ რუსულ შავრაზმელ რეააქციისა მთავრობას გაახსენებს „სულთანის რეცეპთს“ და ეუბნება—ამის მეტი არა დაგრჩენია-რა. როცა სომხის რევოლიუციონერებმა საქმე გაუჭირეს ოსმალეთის მთავრობას და ამან ვერაფრით ვერ დაამშვიდა ისინიო, მაშინვე რადიკალურ ღონისძიებას მიჰმართაო: ამოჟლიტა ასი ათასზე მეტი სომეხი და ამ გზით შეაჩერა რევოლიუციაო! ჩვენ-კი სულელობას ჩავდივირთ: იმის მაგიერ, რომ ცეცხლითა და მახვილით დავამშვიდოთ ველური ინოროდცები, რომელთაც ჰუმანიზმი და ლიბერალიზმი მხოლოდ მთავრობის სისუსტედ მიაჩნიათ, ჩვენ გაგვიგზავნია იმ ქვეყანაში მოხუცი მმართველი; რომელსაც კეთილგანწყობილებითა და ლიბერალურ რეფორმებით მოუწადნია ველურთა გულის მოგება!..

ასეთი კაცთმოძულების პოლიტიკის ქადაგებით აივსო შავრაზმელი პრესსა... მისმა ასეთმა შეუწყნარებელმა ღაღადმა ააღელვა ყველა რიგიანი ორგანოები რუსეთის პრესისა, რომელნიც შესაფერ პროტესტს უცხადებენ რეაქციონურ გაზეთებს და თან ცდილობენ გაითვალისწინონ „ტფილისის ტრაგედია“, გაიგონ, რა უბედური მდგომარეობის მსხვერპლი შეიქნა განსვენებული არქიელი. სხვათა შორის ამ ხასიათის წერილები დაიბეჭდა „რუსსკ. ვედომ“-ში (ა. ხახანაშვილისა), „რეჩ“-ში (იზგოევისა) და „ბირჟ. ვედომ.“-ში. საყურადღებოა უკანასკნელ გაზეთის შენიშვნა, რომელიც აქვე მოგვყავს:

„ბოროტისა და საშინელის სიკვდილით დაიღუპა საქართველოს ექზარხოსი ნიკონი. სიკვდილი ბოროტი და საშინელია ყოველთვის, როდესაც ცეცხლითა და მახვილით ულებენ ბოლოს იმათ სიცოცხლეს, ვისი სამსახურიც თითქოს შორს უნდა იყოს ძალმომრეობისაგან. პოლიტიკურ-ეროვნულ ქარტეხილის მსხვერპლი, ნიკონი უკვე ისტორიას გადაეცა, მაგრამ ყველამ ერთის გრძნობითა და აზრით არ გააცილა იგი. ერთ მხარეს გამრჯვებას დღესასწაულობს შურის ძიება, და მომავალში შეიძლება განსვენებულის სახელი პოემაშიაც კი მოექცეს, პოემაში, რომელიც ნაყოფი იქნება ეროვნულ გრძნობისა, სხვებისთვის—ნიკონი ბედის წერის მსხვერპლი იყო, და შეიძლება ამ შემთხვევაში-

აც მისის სიკვდილის გამო გულწრფელი ლექსები დაიბეჭდოს სასულიერო ჟურნალებში. ან-კი რა უნდა ყოფილიყო საქართველო წმინდა წყლის რუსისთვის, ოდესლაც წყნარ და მშვიდ მღვდელ-სემინარიელისთვის, რომელის ერთად ერთ სურვილს შეადგენდა მშვიდობიანი მღვდლური ცხოვრება? მეორე მხრით, რა უნდა ყოფილიყო თვით ნიკონი საქართველოსთვის?

მაგრამ ბედმა ჩარხი დაატრიალა,—წყნარი ბედნიერება დაირღვა. მღვდელმა ნიკოლოზ სოფიისკიმ დაჰკარგა ცოლი. იგი შევიდა აკადემიაში, ბარტყულა დაიხურა, შემდეგ მიტრა გაჩნდა. მერე ეპისკოპსობა და დიდება, მთავარ-ეპისკოპოსობა და ექსარხოსობა. სასულიერო გენერლობით დაჯილდოვებულ ნიკონს ხორციელს გენერლების ცოდვების გამოსყიდვა მოუხდა. მისმა წინამოადგილემ თავი მიანება ადგილს. განგებას უნდა უმადლოდეს, მან არ იგემა რისხვა სინოდის ცენტურიონების, რომელნიც ჯერ კიდევ განაგებენ მღვდელ-მთავრების სვებედს.

არავის არ უნდოდა საქართველოში წასვლა. დაასახელეს ნიკონი, ასეა მიღებული, რომ „ბერს თავის სურვილი არა აქვსო". ნიკონი წავიდა.

მე ვიცნობდი ექსარხოს ნიკონს, როცა იგი ჯერ ისევ ბერ-მონაზონად იყო პეტერბურგის სამღვდელოების დიდი ნაწილი იცნობდა ნიკონს. მთელი თვრამეტი წელიწადი იგი პეტერბურგის სემინარიის ინსპეკტორად იყო. სამღვდელოების შორის ბევრია იმისი მოსწავლე. აკადემიაში მეც მიუსწარი იმის შესახებ გამოგონილ ანეკდოტებს.

სემინარიის ეკკლესიაში ბევრი მიდიოდა მხოლოდ იმიტომ, რომ ლამაზი ბერი ენახა. მაღალი, მოყვანილი, საუცხოვო თვალებით, ოქროს სათვალეებით,—მუდამ იზიდავდა ეკკლესიის მოყვარულ მანდილოსნებს. იჭვი არ იყო, რომ ნიკონს დიდი მომავალი მოელოდა.

ნიკონის მაგარი ხასიათი ერთბაშად ყველამ იგრძნო, და ეს ბევრს არ ეჭაშნიკა. მალე იგი რექტორად დანიშნეს ვლადიმირში- ეს ამაღლება იყო, მაგრამ ამით ბოლო მოელო ახლად ფეხ ადგმულს უკმაყოფილებასაც: პეტერბურგისთვის ნიკონი უკვე აუტანელი გახდა.

ვლადიმირში ახალმა არქიმანდრიტმა იგივე ძალა გამოიჩინა. მე კარგად ვიცი, რომ ბევრს ძალიან მოსწონდა იგი, მაგრამ ბევრს სძულდა კიდეც. ბევრი მოსწავლის ნორჩი გული აატირა რექტორის სისასტიკემ და სიმტკიცემ. ერთხელ დეპეშა მოვიდა: ვლადიმირის სემნარიის რექტორის, არქიმანდრიტის ნიკონის მოკვლა განიძრახა ერთმა სემნარიელმაო. როდესაც ნიკონი ბაღში ყვავავილს ათვალიერებდა, მოსწავლემ ცული დჰკრა კისერში

ეპისკოპსად აღყვანილი ნიკონი ერთ ხანად პეტერბურგში იყო ვიკარად. ნიკონი მეტად მხნე და მომქმედი ვიკარი იყო. იმის ხელში საქმე დუღდა და გადმოდიოდა. ხშირად იფიქრებდა კაცი, ეს ადამიანი ხორციელ გენერლობისთვის არის გაჩენილიო,—რად მოყვა ბერად?

ნიკონი ექსარხოსად დანიშნეს, და იმან, ვინც პირველად ნიკონი ექსარხოსად დაასახელა, იცოდა —რასა შვრებოდა. საქართველოს საეკკლესიო საქმეებში ერთხელვე მიღებულ პოლიტიკისთვის უკეთესი კაცი არ შეიძლებოდა. ჯერ-ჯეროობით დაწვრილებით არა ვიცით რა ტფილისის ტრაგედიის შესახებ. მაგრამ იმას, ვინც იცნობდა განსვენებულ ექსარხოსს, ეს მოულოდნელი სიკვდილი არ მოეჩვენება ანტი-ლოგიკურ მოვლენად, სისულელედ, უცაბედ რამედ. ნიკონმა იცოდა, რად და რისთვის მიდიოდა, სწამდა ის საქმე, რასაც ხელი მოჰკიდა, და კონმპრომისს არ დასთანხმდებოდა, გინდაც სცოდნოდა, რომ გზა ერთად-ერთი იგი იყო".

ახალი ამბები და შენიშვნები.

*** **მონასტერზე თავდასხმა.** 31 მაისს, საღამოს 6 საათზე, როგორც გვატყობინებენ, ათი შეიარაღებული თათარი თავს დასხმია და გაუცარცვავს დავით გარეჯელის უდაბნო (ყარაიის მინდორზეა). ყველანი, ვინც იმ დროს მონასტერში იყო, შეუმწყვდევიათ ოთახში. მოხუცი წინამძღვარი შეუკრავთ, ხოლო ბერები დაუტუქსავთ. შემდეგ სენაკები დაუჩხრეკიათ და რაც საგემო უნახავთ, სულ წაუღიათ. წაღებულია ფულად 400 მანეთზე მეტი, თოფები, გულის ჯვრები და ბერების ტანსაცმელი. ერთი მლოცველისთვის შალვარიც-კი გაუხდიათ. მერე ბერებისთვის უბძანებიათ არავის არ შეატყობინოთო, და წასულან. როგორც შემდეგ გამორკვეულა, ესევე ბრბო ამის წინ ყოფილა ნათლის-მცემლის უდაბნოში (ესეც იმავე მინდორზეა), საიდანაც 150 მ. ფულად, თოფები და საცვლები წაუღიათ. იმ მონასტერში ბერებისთვის უცემიათ და ერთი მათგანი დაუჭრიათ კიდეც.

*** დეპუტატს მღვდელს ვასილ ტიტოვს საათბიროში გაეხადა ანაფორა და საკიდურზე დაეკიდა. ანაფორას ჯიბიდან ვილაცას მოეპარა საფულე 225 მანეთით, ტავრიდის სასახლის პოლიციამ ამაზე ოქმი შეადგინა.

დიდი საქმე მოუხდენიათ! საჭიროა ვიცოდეთ ნახეს თუ არა ფულები თორემ ოქმის შედგენა რა საინტერესოა?..

*** **შაჰის ფირმანი თეირანში სამხედრო წესების შემოღების შესახებ:** „რადგან სატახტო ქალაქის მდგომარეობა საშიში იყო, ჯარს ებრძანა საყოველთაო უშიშროება დაეცვა. მაშინ ენჯუმენის წევრნი შეიკრიბნენ სენეხ-სალალიარის მეჩითსა და ადერბეიჯანის ენჯუმენის სადგომში, იარაღს მიჰმართეს, დაიწყეს თოფის სროლა, ყუმბარები ისროლეს და მოჰკლეს და დასჭრეს რამდენიმე ყაზახი და მთავრობის მოხელე რათა ბოლო მოეღოს ამ რევოლიუციას, ამ ფირმანით თეირანში გამოცხადებულია სამხედრო წესები. ვბრძანებთ, ამ ფირმანის შინაარსი აცნობონ ევროპიელთა საელჩოებს“.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საზოგადოებასა და გეთილდღეობაზე.

სიტყვა,

თქმული დეკ. დ. დამბაშიძისაგან ყვირილის მთავარმოწამეთა დავით და კონსტანტინეს ტაძარში 2 მარტს, ბანაშვიდის წინ მაქსიმე როსტომის-ძე შარაძის სულის მოსახსენებელად.

პატივცემულნო მსმენელნო! ერთი სამწუხარო ამბავი მოგვიტანა ამ დღეებში ქართულმა გაზეთებმა; მაქსიმე როსტომის-ძე შარაძე გარდაცვლილა ტფილისში და სწორედ დღეს არის დანიშნული მისი დასაფლავება. თქვენ გაგიკვირდებათ ჩემი სიტყვები და გულში იტყვით: ვინ იყო მაქსიმე შარაძე და რით იყო იგი შესანიშნავი კაცი? და არც არის გასაკვირალი ასეთი აზრი და გულისთქმა. როცა ბეჭდვითი სიტყვამ სამგლოვიარო ზარით მიმართა მთელს საქართველოს და შეატყობინა ვერაგულად მოკვლა ჩვენი შესანიშნავი მგოსნის ილია ჭავჭავაძისა, ბევრს ადგილას გაუკვირდათ თურმე ეს გლოვის ზარი და კითხულობდენ: რა კაცი იყო ილია ჭავჭავაძეო? თუ ასეთ შესანიშნავ მოღვაწის შესახებ ესა სთქვეს, რა გასაკვირალია, თქვენც რომ სთქვათ ვინ იყო და რა შესანიშნავი კაცი იყო მაქსიმე შარაძეო,—ამას ვერავინ გიძრახავსთ. დიაღ, ესეთი უბედური ვართ მარტო ჩვენ ქართველები, სრულებით არ ვიცნობთ მოღვაწე კაცებს. არა აქვს ჩვენში შესაფერი დაფასება არც მოღვაწეობას და არც ნიჭს. დავით წინასწარმეტყველის სიტყვებისამებრ: „შურმან შეიპყრა ერი უსწავლელი და ცეცხლმან შესჭამნეს წინააღმდეგნიო“ სწორედ ჩვენზე სრულდება. ვაი იმ ხალხს, რომელსაც თავის მოღვაწეები ვერ უცვნია და ნეტავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ხალხს, რომელიც თავიანთ მოღვაწეებს კარგად იცნობენ და პატივსა სცემენ... ჩვენში კი უფრო პატივსა სცემენ დიდ კაცობას, მდიდრებს და გავლენიან კაცებს; რამდენად ზრუნვენ ეს კაცები ხალხის კეთილდღეობისათვის, ამას არავინ გამოიკვლევს. რისგან არის ეს სამწუხარო მოვლენა ჩვენში? იმისაგან, რომ ჩვენში თავისთავზე ზრუნავს კაცი და საზოგადო საქმე სრულებით დავიწყებული აქვს. არიან ჩვენში ისეთებიც, რომელთაც საზოგადო სასარგებლო საქმე ახსოვსთ და კიდეც ზრუნავენ, მაგრამ ზრუნავენ მხოლოდ იმ პირობით, რომ მისი ზრუნვა რამდენადაც საზოგადოებისათვის სასარგებლო იქმნება, იმდენათვე კერძოთ მისთვის უნდა იყოს სასარგებლო და სასიამოვნო. მაგრამ, არიან ისეთი მზრუნველებიც, რომელთაც თავიანთი კერძო პირადი სარგებლობა სრულებით დავიწყებული აქვსთ და რითაც შეუძლიათ მზად არიან საზოგადოებას მტლეთ დაედვან და თავის სიცოცხლე შესწიროონ.

მრავალ-მოწყალე ღმერთი ყველას აძლევს ტალანტს, ნიჭს იმოდენს რამდენის მოხმარებაც მათ შეუძლიანთ. ზოგიერთს ღვთისაგან მონიჭებულს ტალანტს, ნიჭს ხმარობს მოყვასთა საკეთილდღეოდ და სასარგებლოდ. ზოგიერთი კი თავისს ნიჭს ხმარობს მარტო თავის სასარგებლოდ და მოყვასთა სარგებლობას სრულებით არავითარ ყურადღებას არ აქცევს.

ქალ. ტფილისში კარგი ხანია დაარსდა მცირე ჯგუფი საზოგადოებისა, რომელსაც შეადგენდა ექვსი—შვიდი კაცი. ამ ჯგუფმა თავის საღმრთო ვალად დაიდგინა სთესოს თესლი კეთილი ქრისტეს ყანაში. ეს მცირე ჯგუფი მოღვაწეთა მზად არის დაითმინოს ყოველი გაჭირვება, მზად არის თავისი სიცოცხლე შესწიროს, ოღონდ კი გონებრივი საზრდო მიანიჭოს თავიანთ მემამულეთა, დღე და ღამე გაერთებული აქვს, რომ ბეჭდონ და გაავრცელონ ხალხში მცირე ფასით და უმეტესად სრულებით მუქთად სარწმუნოებრივი და კეთილზნეობრივი შინაარსის წიგნები და წიგნაკები და ამით აღასრულონ მაცხოვრის მცნება საქმით და არ სიტყვით. ამასთან მაქსიმე შარაძე მეცადინეობდა გალობის აღდგენას. ერთ დროს იგი იყო სემინარიაში გალობის მასწავლებლად და შემდეგ დააარსა ქართული საეკკლესიო გალობის მოყვარულთა წრე, სადაც ბევრმა შეისწავლა ქართული გალობა.

რომ უფრო ნაყოფიერად ემუშავნათ თავის მიზნის მისაღწევად, მ. შარაძემ გამართა მშვენიერი სტამბა, სადაც ბეჭდავდა სასულიერო და ზნეობრივ შინაარსის წიგნებს და აგრეთვე საგალობელ ნოტებს. ეს სტამბა ეხლაც მუშაობს ამ ამხანაგობის დანარჩენ წევრთა მეოხებით. განსვენებული მაქსიმე შარაძე იყო დამწყები და დამაარსებელი ამ სიმპატიური საზოგადოებისა.

მომღალავმა შრომამ და მრავალგვარმა უსიამოვნებამ, რომელნიც ხშირად წინ ეღობებიან ყოველ მოღვაწეს ჩვენში, დაასნეულა იგი და ორმოცდა ათი წლისა დაბადებიდან გამოასალმა წუთი სოფელს. ასკეტიურმა ცხოვრებამ განუწყვეტლივ შრომასთან ერთად, დაასუსტა მისი ჯანმრთელობა და, როგორც ჩვეულებრივად იტყვიან ხოლმე, წყნარად მიიძინა და საუკუნოდ განისვენა.

ამ საზოგადოებამ წარსულ წელში გადმოგვცა ჩვენ ოცი ათას ხუთასი სხვა და სხვა სასარგებლო წიგნაკი ხალხში დასარიგებლად და საეკკლესიო წიგნთ-საკავების დასაარსებლად, ჩვენის „მწყემსის“ სახელობაზედ დაარსებული ძმობის დახმარებით. ამ 20,500 წიგნაკებს დაუმატეთ ჩვენგან გამოცემული 9500 წიგნაკი და სულ შესდგა ოცდა ათი ათასი, რომელნიც უკვე დარიგდა ჩვენგან და კიდევ იმექონება ხალხში დასარიგებლად...

ამისთანა კაცის გარდაცვალება საგლოვია არა მარტო ნათესავებისა და ნაცნობებისაგნა, არამედ მთელი საზოგადოებისაგან. თუ დღემდის თქვენ არ იცნობდით პატიოსან მოღვაწეს, შარაძეს, ეხლა ხომ გაიგეთ მისი ვინაობა და უმეტესად შეიტყობთ იმისგან გამოცემულ წიგნებით რომელნიც ჩემგან ეხლავე დაგერიგებათ.

შევევედროთ უფალსა, რათა დაუმკვიდროს მას სასუფეველი და მისი სული დაამკვიდროს მართალთა თანა, განამრავლოს ამისთანა პირები ჩვენს

დაბეჩავებულ საქართველოში და მის ამხანაგთ, ამ საგულისხმო საზოგადოების დანარჩენ წევრთა, მიანიჭოს ძალა და მხნეობა კეთილად წარსამართებლად მათგან დაწყებული სასიხარულო და ფრიად სასარგებლო საქმისათვის.*)

რედაციის პასუხი.

ზოგიერთ მკითხველებს. ჩვენ გვეკითხებიან ზოგიერთები: „ფულები წარმოდგენილი გვაქვს იანვარში და რატომ არ იგზავნებით გაზეთს?“. სხანი: „ჩვენ ბლაღოჩინს წარუდგინეთ ფული და რატომ არ გზავნით გაზეთს? ჩვენ მივიღეთ მხოლოდ ოთხი თვის და შემდეგ აღარ მიგვიღია“.

აი რედაქციის პასუხი: ექსპროპრიაცია „ხალხის განთავისუფლებისათვის“ კი არა, არამედ თავის ჯიბის გასატენად, ყველაზე უწინ ზოგიერთმა ბლაღოჩინებმა და მღვდლებმა დაიწყეს; რასაც მოახერხებდენ ეს პირები ფულის აღებისათვის იმას ხმაროობდენ. ზოგიერთ ხელის მომწერს ეგზავნებოდა გაზეთი. წლის დამლევს გზავნიდა სამ მანეთს წერილით. „ვგზავნი რა ამასთან სამ მანეთს ვთხოვ რედაქციას მიგზავნოს მე გაზეთი მიმდინარე წელიწადში.“ შემდეგ წელიწადში მომავალ წლისათვის გვიგზავნიდა ასე ფულს. კარგა შესამჩნევი ფული შერჩა ამ ნაირად ზოგიერთებს. არ ვიცით გულ მავიწყობით მოდიოდათ ეს ზოგიერთებს თუ განგებ ჩადიოდენ. ჩვენ ამ ნაირ პირობებში გადავწყვიტეთ, რომ ფულის გამოუგზავნელად არავის გაუგზავნოთ გაზეთი და აღარც ვგზანით.

შეუძლო პირთ გაუადვილეთ გაზეთის გამოწერა ამ ნაირად: ერთი მანეთი უნდა გამოეგზავნათ იანვრის პირველს, მეორე მანეთი აპრილის პირველს და მესამე მანეთიც ივლისის პირველს. ზოგიერთმა ბლაღოჩინებმა მიიღეს ფულები სრულად მღვდლებისგან, მაგრამ გამოგზავნეს მარტო თითო მანეთი. შემდეგ პირველი აპრილისთვის აღარ გამოგზავნეს ფული თუმცა მათ ერთად მიიღეს მღვდლებისგან. ამისთვის გაზეთი აღარ ეგზავნება მათ. თუ ასე გაატანა წლის დამლევამდის, რასაკვირველია, ბლაღოჩინს შეეძინება ორი მანეთი და გაზეთს გამომწერს არაფერი!.. აქ რედაქცია სრულებით უბრალოა. გაზეთები ყველას მიდის თუმცა მოხდება ხოლმე ისიც, რომ ფოსტა დიდათ თავს არ იწუხებს რომ ყველას თავ თავის დროს ჩააბაროს გამოწერილი გაზეთი.

შეწირულება.

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ როგორც ჩემგან ისე ჩემი სამრევლოსაგან ვასილ ი. ბურჯანაძეს, რომელმაც შემოსწირა მეჩხეთურის ახალს ეკკლესიას მრავალ სანთლოვანი ხომლი, სამ თუმნად ღირებული, რაოდენ ბურჯანაძისას, რომელმაც შემოსწირა კანდელი, ღირებული ხუთ მანეთად, მალხაზ ბურჯანაძეს, შემომწირველს წმიდა გიორგის ხატის და ოლარისა, ღირებულისა არა ნაკლებ ერთი თუმნისა. აგრეთვე ყველა იმ პირთ, რომელთაც ამ ეკკლესიის კურთვევაზე შემოეწიენ ფულით, რაიცა შესგა სულ რვა თუმნამდე, და რომლითაც მოპოებულ იქმნა მშვენიერი ბარძიმ-ფეშხუმი ვერცხლის—მოოქრული და იმათაც რომელთაც დიდი შრომა და ხარჯი გასწიეს ამ ეკკლესიის აშენება-აგებაზე, განსაკუთრებით მნათეს მიქელა ნოზაძეს, რომელსაც მეტი ღვაწლი მიუძღვის ამ საქმეში ზედაშეს და სებისკვერსა და თავის თანამდებობასაც აგერ მეთორმეტეწელიწადია სამაგალითოდ ასრულებს:

სპასჯის წმ. დიმიტრის და მეჩხეთურის ზედ მიწერილს ეკკლესიის მდვ. დ. ლოსაბერიძე.

*) შემდეგ ამ სიტყვისა გარდახდილ იყო პანაშ. ვიდი და მისი სულის მოხსენების შემდეგ დარიგებული იყო შარაძის და მის ამხანაგთა გამოცემული წიგნები. ხალხი ბევრი იყო და დიდის სისწრაფით ეშურებოდნენ წიგნების მიღებას.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე, 15 ივნისი 1908 წ.

სტამბა ჟურნალის „მწყემსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ღამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.